



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 03 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №39/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2019 წლის 01 მარტის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 01 აპრილის №151/39-03 წერილით მოსამართლე --- -- ეცნობა №-- საჩივრის შემოსვლის და მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 01 აპრილის №155/39-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 22 აპრილს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, -- საქალაქო სასამართლომ არ მიიღო მისი სარჩელი წარმოებაში. აღნიშნული განჩინება -- --, რომელიც არის საჩივრის ავტორის მარწმუნებელი, გაასაჩივრა კერძო საჩივრით. -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე --- -- არასწორად დაიწყო გასაჩივრების ვადის ათვლა, ანგარებით დაეხმარა მოპასუხეს და მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. ასევე, მან დაგვიანებით გადააგზავნა საქმე -- სააპელაციო სასამართლოდან -- საქალაქო სასამართლოში. შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლომ საჩივრის ავტორს ვერ ჩააბარა დროულად საქმის მასალები.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 15 აგვისტოს --- -- სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს --- -- მიმართ და მოითხოვა, მისთვის სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის გამო (სესხის ხელშეკრულება) --- -- ამერიკული დოლარის დაკისრება. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე --- --. 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე იმ მოტივით, რომ სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ნათლად და ამომწურავად ფორმულირებული.

აღნიშნული განჩინება -- გაეგზავნა 2018 წლის 21 აგვისტოს, თუმცა მისი ადრესატისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა (ბინებზე არ იყო მითითებული ნომრები). მოსარჩელეს 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინება ხელმეორედ გაეგზავნა 2018 წლის 05 სექტემბერს. ამ შემთხვევაშიც, სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარება ვერ მოხერხდა ბინის ნომრის დაუდგენლობის გამო.

2018 წლის 19 ოქტომბერს -- წარმომადგენელმა, -- განცხადებით მიმართა მოსამართლე -- და ითხოვა, ამჯერად მის მისამართზე 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინების გაგზავნა. ხსენებული განცხადების საფუძველზე მოსარჩელეს განჩინება კიდევ ერთხელ გაეგზავნა 2018 წლის 29 ოქტომბერს. -- წარმომადგენელს განჩინება ჩაბარდა 2018 წლის 30 ოქტომბერს.

2.2. -- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინება სარჩელის წარმოებაში მიღების თაობაზე მოსარჩელემ გაასაჩივრა 2018 წლის 14 ნოემბერს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოში განსახილველად გადაეცა მოსამართლე --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის განჩინებით, იმის გამო, რომ გასული იყო 2018 წლის 17 აგვისტოს განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების 12 დღიანი ვადა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კერძო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ. -- სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის განჩინება მხარეებს გაეგზავნათ 2018 წლის 25 დეკემბერს. საქმე -- სააპელაციო სასამართლოდან -- საქალაქო სასამართლოში გაიგზავნა 2018 წლის 30 დეკემბერს.

2.3. 2019 წლის 08 თებერვალს -- წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს -- და ითხოვა, განუხილველად დატოვებული საქმის მასალების მისთვის გადაცემა სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის მიზნით (ხელმეორედ). აღნიშნული დოკუმენტები მხარეს ჩაბარდა 2019 წლის 03 აპრილს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და განვსაზღვროთ, მოსამართლის კონკრეტული ქმედებები შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლეების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებასა და კანონიერებას. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, ამავე ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.“ ხოლო 416-ე

მიხედვით, „კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან...“ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოსთვის არანაირ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.“ მოსამართლე მხოლოდ „შინაგანი რწმენით“ აფასებს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და მოსაზრებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს მის „შინაგან რწმენას“, ასახავს გადაწყვეტილებაში (განჩინებაში).

ამდენად, მოსამართლე -- -- გადაწყვეტილების/განჩინების მიღებისას, მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს, მოსამართლეთა მიერ თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერებაზე. გადაწყვეტილების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

რაც შეეხება საჩივრის ავტორის განცხადებას, რომ მოსამართლე -- -- დაავიანა საქმის მასალების დაბრუნება -- საქალაქო სასამართლოში და ამით, განაპირობა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მხარისათვის დოკუმენტების დაგვიანებით ჩაბარება, ეს მტკიცება არ შეესაბამება სიმართლეს.

შესაბამისად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ გამოიკვეთა საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

მნიშვნელოვანია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მითითება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერების თაობაზე არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური გადაცდომად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

ამასთან, მართლმსაჯულების განხორციელების უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მოსამართლეს კანონით დადგენილი წესით, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

„მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების კრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 22 აპრილის დასკვნით დადგინდა, რომ -- -- 2019 წლის 01 მარტის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტის კანონიერებას (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

-- -- 2019 წლის 01 მარტის №-- საჩივრზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- - მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი